www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)

2022 III კვარტალი

18.11.2022
www.geostat.ge

18.11.2022

სამუშაო ძალის მაჩვენებლები
(დასაქმება და უმუშევრობა)

2022 წლის III კვარტალი

2022 წლის III კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15.6 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2018-2022 წლებში კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №1

უმუშევრობის დონე საქართველოში

(%)



2022 წლის III კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაქირავებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 52 ათასი კაცით (6.0%) და 913.8 ათასს მიაღწია, ხოლო თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა 25.8 ათასით გაიზარდა (6.2%) და 444.3 ათასი შეადგინა. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა შემცირდა 60.1 ათასით (19.3%) და 250.7 ათასი შეადგინა.

2022 წლის III კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით დაქირავებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 45.9 ათასი კაცით (5.3%), თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა გაზრდილია 43.1 ათასით (10.7%), ხოლო უმუშევართა რიცხოვნობა 30.8 ათასითაა (11.0%) შემცირებული.

18.11.2022

2022 წლის III კვარტალში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (სამუშაო ძალის წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 53.5 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დასაქმების დონე 2.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 45.2 პროცენტი შეადგინა. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე, ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 2.9 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი. დასაქმების დონე გაიზარდა როგორც ქალაქის ტიპის (1.8 პროცენტული პუნქტით), ისე სოფლის ტიპის (3.8 პროცენტული პუნქტით) დასახლებებში და შესაბამისად 45.4 პროცენტი და 44.9 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონისა და დასაქმების დონის მაჩვენებლები 2018-2022 წლებში კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №2

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე და დასაქმების დონე

(%)



18.11.2022

2022 წლის III კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში არ შეცვლილა და 67.3 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2018-2022 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №3

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით

(%)



18.11.2022

2022 წლის III კვარტალში უმუშევრობის დონე როგორც საქალაქო ისე სასოფლო ტიპის დასახლებებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია, შესაბამისად 4.8 და 2.7 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით 2018-2022 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №4

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით

(%)



18.11.2022

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2022 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში შემცირებულია 3.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 4.2 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით 2018-2022 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №5

უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით

(%)



სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2022 წლის III კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 43.4 პროცენტს, ხოლო კაცებში 65.3 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში გაზრდილია 1.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.5 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით 2018-2022 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №6

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით

(%)



18.11.2022

2022 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დასაქმების დონე გაზრდილია როგორც ქალებში, ასევე კაცებში შესაბამისად 2.4 და 3.2 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე სქესის მიხედვით 2018-2022 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №7

დასაქმების დონე სქესის მიხედვით

(%)



საკონტაქტო პირი:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge